სუროჟის ეპისკოპოსმა მათემ მიტროპოლიტ ანტონის (ბლუმი) საფლავზე პანაშვიდი აღასრულა

2021 წლის 4 აგვისტოს, მიტროპოლიტი ანტონის (ბლუმი) გარდაცვალების დღიდან მე-18 წლისთავზე, სუროჟის ეპისკოპოსმა მათემ პანაშვიდი აღასრულა სუროჟის ეპარქიის მარადსახსენებელი დამაარსებლისთვის ძველი ბრომტონის სასაფლაოზე ლონდონში.

მის ყოვლადუსამღვდელოესობას თანამსახურებდნენ ლონდონის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის კლირიკოსები: დეკანოზი ვიტალი პოლიშუკი, დეკანოზი მაქსიმე ნიკოლსკი, ინგლისის სამხრეთ-დასავლეთის ეპარქიალური რაიონის ბლაღოჩინი დეკანოზი იოსებ სკინნერი და პროტოდიაკონი ვადიმ სანცევიჩი.

გუნდმა მიცვალებულთა საგალობლები ანნა კორბინის ხელმძღვანელობით შეასრულა.

პანაშვიდზე მიტროპოლიტი ანტონის სულიერი შვილები და მისი პატივმიმგებლები ლოცულობდნენ.

ღვთისმსახურების დასრულებისას მეუფე მათემ საფლავზე ყვავილების თაიგული დადო და სასულიერო პირებსა და მრევლს სულიერი დამრიგებლური სიტყვით მიმართა.

იმავე დღეს, უფრო ადრე, ლონდონის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში სუროჟის ეპისკოპოსმა მათემ საღვთო ლიტურგია აღასრულა. მიცვალებულთა ექტენიასა და ლიტიაზე, რომელიც ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ აღესრულა, ისმოდა მიტევება და ლოცვები მარადსახსენებელი მიტროპოლიტი ანტონის (ბლუმი) განსვენებისთვის.

ლიტურგიის განტევების შემდეგ ყოვლადუსამღვდელოესმა მეუფემ სასულიერო პირებსა და მრევლს მქადაგებლური სიტყვითა და სულიერი დარიგებით მიმართა, განსაკუთრებულად აღნიშნა მიტროპოლიტი ანტონის ცხოვრებისეული გზა და მისი შრომა ეკლესიის საკეთილდღეოდ, რომელმაც მკაფიო კვალი დატოვა რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებლობის ისტორიაში.

სუროჟის ეპარქიის საიტის მასალების მიხედვით

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87850/